სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 დეკემბერი 2025

N 800/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "ეს ენდ დი ლოჯისტიკი"-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2025 წლის 09 დეკემბერს და 2025 წლის 12 დეკემბერს სააგენტოს მომართა შპს „ეს ენდ დი ლოჯისტიკი"-მ და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობებით:

ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 8 730 კგ;

ბ) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 545 კგ;

გ) R410A (HFC-32/HFC-125) – 1 695 კგ;

დ) დიფთორმეთანი (HFC-32) – 90 კგ;

ე) YH222 (HFC-125/HFC-134a//HFC-152a/HC -290) – 2 180კგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ეს ენდ დი ლოჯისტიკი"-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 415091144) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

   ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 8 730 კგ;

ბ) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 545 კგ;

გ) R410A (HFC-32/HFC-125) – 1 695 კგ;

დ) დიფთორმეთანი (HFC-32) – 90 კგ;

ე) YH222 (HFC-125/HFC-134a//HFC-152a/HC -290) – 2 180კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან ერთი წლის ვადით.

3. შპს „ეს ენდ დი ლოჯისტიკი“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ეს ენდ დი ლოჯისტიკი“-ს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/800-21-4-202512191618

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE